ოქმი N 1

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი 2020 წლის 22 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეა გელანტია
2. აბელი ქირია
3. გიგა ნასარაია
4. შადიმან ჭილაია
5. მერაბ ფილიპია
6. მზია ლემონჯარია
7. გია წულაია
8. ნიკოლოზ ვეკუა

სხდომას თავმჯდომარეობდა თ. გელანტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის განხილვა.

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების განხილვა.

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის 20202 წლის სამუშაო გეგმა და განაცხადა, რომ კომისიის სამუშაო გეგმა მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. გამომსვლელი შემოვიდა ინიციატივით წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი საპროცედურო საკითხთა კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმა შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე.

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მომზადდა საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2020 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გაწერილია კვარტლების მიხედვით. კომისიის თავმჯდომარე შემოვიდა ინიციატივით, რომ წარმოდგენილი პროექტი ინიცირების წესით წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე თეა გელანტია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წლის 22 იანვარი

საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომაზე
დამსწრე წევრთა რეგისტრაცია

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	თეა გელანტია	სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	
2	აბელ ქირია	კომისიის წევრი	
3	გიგა ნასარაია	კომისიის წევრი	
4	მზია ლემონჯარია	კომისიის წევრი	
5	ნიკოლოზ ვეკუა	კომისიის წევრი	
6	შადიმან ჭილაია	კომისიის წევრი	
7	მერაბ ფილიპია	კომისიის წევრი	
8	გია წულაია	კომისიის წევრი	